შირაქი

SHIRAKI

www.opentext.ge

№14 (9.530)

27 აპრილი 2012 წელი

ფასი 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

გამოდის 1937 წლიდან

ხალხთან შეხვედრები გაგრძელდება

„პრობლემების ადგილზე გაცნობა მნიშვნელოვანია“

პრეზიდენტის რწმუნებული კახეთის მხარეში გიორგი ღვინიაშვილი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს კიდევ ერთხელ ეწვია. გუბერნატორი მუნიციპალიტეტის სოფლების მაცხოვრებლებს შეხვდა და მათი პრობლემები ადგილზე მოისმინა. ღვინიაშვილს საკუთარი პრობლემები სოფლების: არხილოსკალოს, ზემო ქედისა და ქვემო ქედის მოსახლეობამ გაიცნო.

სოფელ არხილოსკალოში შეხვედრაზე მთავარ პრობლემად სოფელში არსებული სასმელი წყლის დეფიციტი გამოიკვეთა. გარდა ამისა, დასახელდა გაზიფიცირების და სოფლის ცენტრალური გზის მოასფალტების, მიწების შესყიდვის, საჯარო სკოლისა და საბავშვო ბაღის შეკეთების საკითხები.

არხილოსკალოელებმა გუბერნატორს ნეფროლოგიური სანატორიუმის აღდგენა და სამთაწყარო-აზერბაიჯანის დამაკავშირებელ ხიდზე მიმოსვლის განახლება სთხოვეს.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, მოსახლეობას საფერავის ჯიშის ყურძნის დაბალი ფასი აწუხებს. გიორგი ღვინიაშვილმა აღნიშნა, რომ ყურძენს კერძო ღვინის ქარხნები ყიდულობენ და მათ მეტის გადახდას ვერავინ დაავალდებულებს. სახელმწიფო, შესაძლებლობის ფარგლებში, დამატებით უხდის გლეხს. სხვაგვარად ვერ დაეხმარება, რადგან ფასებს ბაზარი არეგულირებს.

გუბერნატორის განცხადებით, საბავშვო ბაღის შესაკეთებლად, სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში თანხა უკვე გამოყოფილია. თუ რომელ შენობაში განთავსდება ბაღი, ეს სოფელმა უნდა გადაწყვიტოს. ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრისას გაირკვა, რომ მიმდინარე წელს ნახევარი მილიონი ლარი წყალმომარაგების მოწესრიგებაზე დაიხარჯება.

(გაგრძელება გვ. 3)

დედოფლისწყარო ანტიგიურზას მარაგს ფლობს

მიმდინარე წელს გველისგან დაკბენის პირველი შემთხვევა დაფიქსირდა. დედოფლისწყაროდან თბილისის წმინდა მიხეილის სახელობის კლინიკაში 65 წლის აქვსენტი თათარაიძე გადაიყვანეს, რომელიც გიურზამ დაკბინა.

მწყემსმა შირაქის ველებზე მინდორში ყოფნისას გიურზას შემთხვევით ფეხი დააბიჯა, რა დროსაც ქვეწარმავალმა ქვედა კიდურზე დაგესლა.

როგორც „შირაქმა“ გაარკვია, მამაკაცი ახმეტაში ცხოვრობს და დედოფლისწყაროში მუშაობდა.

პაციენტი თავდაპირველად დედოფლისწყაროს საავადმყოფოში მოათავსეს. მამაკაცს პირველადი სამედიცინო დახმარება ადგილობრივ საავადმყოფოში გაუწიეს, რის შემდეგაც მდგომარეობის გაუარესების გამო კატასტროფის მედიცინის ცენტრის ბრიგადამ ის თბილისში გადაიყვანა.

მედიკოსების განმარტებით, მას შრატი უკვე გაუკეთდა, თუმცა ამ დროსითვის პაციენტის მდგომარეობა საკამოდ მძიმეა.

დედოფლისწყარო გველების სიმრავლით გამოირჩევა, ხშირია ადამიანების დაგესვლის ფაქტებიც. დედოფლისწყაროს საავადმყოფოში განმარტავენ, რომ სტაციონარში „ანტიგიურზას“ საკმარისი მარაგია.

ილია მარტყოფლიშვილი

ახალი ტექნიკა ნიადაგს ქვებისა და სარეველებისგან წმენდს

გვ. 2

ოჯახური დრამა

გვ. 5

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www.dedoplistskaro.ge

C M Y K

ახალი ტექნიკა ნიადაგს ქვებისა და სარეველებისგან წმენდს

სოფლის მეურნეობის სამინისტრომ საქართველოში საცდელად ნიადაგის ქვებისგან გამწმენდი რამდენიმე აგრეგატი შემოიყვანა. მინისტრის განცხადებით, ტექნიკამ გაამართლა და შედეგის გათვალისწინებით, სამინისტრო დანადგარებს საქართველოს ყველა რეგიონისთვის შეიძენს.

„ახალი ტექნიკა ჩვენს ფერმერებს მინის ხარისხიანად დამუშავების საშუალებას და, შესაბამისად, გაზრდილი მოსავლისა და შემოსავლის მიღების შესაძლებლობას მისცემს“, - განაცხადა ზაზა გოროზიამ.

სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწების 30%-ზე მეტი ქვიანია, რაც ართულებს მის დამუშავებას და ტექნიკური პროცესების შესრულებას. „მიწის ქვებისგან ხელით გასუფთავება დიდ დროსა და ფინასურ დანახარჯებთან იყო დაკავშირებული, თუმცა შედეგი ხარისხიანობით მაინც არ გამოირჩეოდა. ქვებისგან გამწმენდი ახალი აგრეგატის საშუალებით, შესაძლებელი გახდა 1 დღეში 2-3 ჰექტარი მიწის 7-10 სანტიმეტრ სიღრმემდე ხარისხიანი გასუფთავება“, - განაცხადეს სამინისტროში.

„ჩემი საპრეზიდენტო ვადის ბოლოს არ დარჩება არცერთი სკოლა, რომელიც ამერიკულ და ფრანგულ სკოლებზე ნაკლები იქნება“

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, 2013 წლის ბოლოს საქართველოში ყველა სკოლა ამერიკის და საფრანგეთის სკოლების სტანდარტების შესაბამისი იქნება.

„ჩემი საპრეზიდენტო ვადის ბოლოს, საქართველოში არ დაგვრჩება არცერთი სკოლა, რომელიც იქნება ამერიკულ და ფრანგულ სკოლებზე ნაკლები. ყველგან ჩამოვიყვანეთ ამერიკელი მასწავლებლები, ყველგან გვაქვს კომპიუტერები. მომავალ წელს, საერთოდ, მთელი ბავშვების კომპიუტერიზაცია მოხდება. ყველგან იქნება ეს ახალი კლასები, რომლებსაც ჩვენ ვქმნით, იქნებიან გადამზადებული მასწავლებლები, ყველგან ექნებათ ახალგაზრდებს საშუალება მიიღონ მართლა საუკეთესო განათლება“. - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა გურჯაანში, სადაც მან ახალი საავადმყოფო გახსნა.

ხანძარი ხორნაბუჯში

26 აპრილს, სოფელ ხორნაბუჯში, მეგობრობის ქ.№23-ში, მოქალაქე ცისანა გელაშვილის საცხოვრებელ სახლში გაჩნდა ხანძარი.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურში, ხანძრის თაობაზე შეტყობინება 22:55 შევიდა. 23:00 საათზე სახანძრო დაცვის ბრიგადა შემთხვევის ადგილზე გამოცხადდა და 5 წუთში მოახერხა ხანძრის ლოკალიზება.

ხანძრის სრული ლიკვიდაცია 23:45 წუთზე მოხდა.ხანძრის შედეგად დაიწვა იმ ოთახის ნაწილი, სადაც ხანძრის კერა იყო.

ხანძრის გამომწვევ მიზეზებს ადგენენ.

მომხდარის გამო ქალაქ დედოფლისწყაროს მაცხოვრებლებს ერთი საათის მანძილზე ელექტრომომარაგება შეუწყდათ. კახეთის ენერგოდისტრიბუციაში აცხადებენ, რომ ელექტროენერგიის მიწოდების დროებით შეწყვეტა საფრთხის თავიდან ასაცილებლად მოხდა.

პრეზიდენტი ახალი ინიციატივით გამოვიდა

აგრარულ უნივერსიტეტში ყოფნის დროს მიხეილ სააკაშვილმა სტუდენტებს ორი ახალი ინიციატივა გააცნო. ერთი ქართული სტუდენტური ბარათების შემოღებას უკავშირდება, რომლის საშუალებითაც ახალგაზრდებს მუნიციპალურ და სარკინიგზო ტრანსპორტში, კვებისა და სავაჭრო ობიექტებში ფასდაკლებით მოემსახურებიან, ხოლო მეორე სტუდენტთა დასაქმების პროგრამას შეეხება, რომელიც ზამთარშიც გაგრძელდება.

სტუდენტური ბარათების აღებას სტუდენტები 20 მაისიდან შეძლებენ.

ეროვნული ინტეგრაციის ხელშესაწყობად ახალი პროექტი იწყება

„ეროვნული ინტეგრაციის ხელშეწყობის პროექტს“ ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) 3.75 მილიონი დოლარით აფინანსებს. მას საქართველოს გაეროს ასოციაცია ახორციელებს.

პროექტის მიზანია ეროვნული ინტეგრაციის ხელშეწყობა საქართველოს სხვადასხვა ეთნიკურ და გეოგრაფიულ რაიონებში. პროექტი ითვალისწინებს არასამთავრობო ორგანიზაციების ბაზაზე ახალგაზრდული კლუბების ჩამოყალიბებას ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთობებისათვის; აგრეთვე სხვადასხვა რეგიონისა და ეთნიკური ჯგუფების ბავშვებს შორის კომუნიკაციას სოციალური მედიისა და გაცვლითი პროგრამების დახმარებით.

პროექტი აგრეთვე ითვალისწინებს არასამთავრობო ორგანიზაციების ქმედითუნარიანობის ამაღლებას ეთნიკური მრავალფეროვნებისა და სამოქალაქო ჩართულობის კუთხით; სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის, ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობათა საბჭოების, აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტთან არსებული სამოქალაქო ინტეგრაციისა და შემწყნარებლობის საბჭოს ქმედითუნარიანობის ამაღლებას ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე საზოგადოების ინტეგრაციისათვის.

ზემო ქედში ორთვიანი კარანტინია

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ქედის ტერიტორიაზე ცოფის შემთხვევები გამოვლინდა. როგორც „შირაქმა“ გაარკვია, სურსათის ეროვნული სააგენტოს კახეთის რეგიონალური სამმართველოს 2012 წლის 10 აპრილის მიმართვის საფუძველზე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ქედის ტერიტორიაზე ინფექციური დაავადების — ცოფის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების და მასზე ზედამხედველობის განხორციელების კოორდინაციის მიზნით 7 კაციანი კომისია შეიქმნა.

კომისიამ, ვეტკანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ქედის ტერიტორია არაკეთილსაიმედო კერად გამოაცხადა.

ზემო ქედში დაწესდა საკარანტინო ზედამხედველობა ორი თვის განმავლობაში, ხოლო, ცოფით დაავადებულ ცხოველთან კონტაქტირებული მოსახლეობის ანტირაბიული პროფილაკტიკური აცრების ჩატარებაზე, მონიტორინგის წარმოებას ,,დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი“ განახორციელებს.

როგორც დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში აცხადებენ, არაკეთილსაიმედო კერაში ეპიდკვლევით გამოვლენილ ცოფიან ცხოველთან კონტაქტირებულ 6 მოქალაქეს უტარდება ანტირაბიული აცრების სრული კურსი.

„ცოფის ყველა ამთვისებელ 200 სულ ჯანმრთელ ცხოველს ჩაუტარდა იძულებითი პროფილაქტიკური ვაქცინაცია; დაწყებულია ცოფიანი ცხოველების მიერ დასნებოვნებული ეზოების დეზინფექცია, მკაცრი ზედამხედველობის ქვეშაა დაყენებული ცოფის დასნებოვნებაზე საეჭვო ორი ცხოველი (ძაღლი, ღორი); სსიპ-ის სურსათის ეროვნული სააგენტოს კახეთის რეგიონალური სამმართველოს სპეციალისტთა მიერ არაკეთილსაიმედო ზონაში მცხოვრებ მოქალაქეს მიეწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კლინიკურად ჯანმრთელი რძის საკვებად გამოყენება დასაშვებია მხოლოდ 80-85 გრადუსზე 30 წუთის პასტერიზაციის ან 5 წუთის დუღილის შემდეგ,“ — განმარტავენ დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში და მოსახლეობას სიფრთხილისკენ მოუწოდებენ.

საქართველოს საზღვრებზე სასაზღვრო კომისრები იმუშავებენ

საქართველოს საზღვრებზე სასაზღვრო კომისრები იმუშავებენ. ამის შესახებ ბრძანება „სასაზღვრო წარმომადგენლის - სასაზღვრო კომისრის დებულების დამტკიცების შესახებ“ შინაგან საქმეთა მინისტრმა გამოსცა.

დებულების მიხედვით, კომისრებად შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის მოსამსახურეები, საქართველოს სახელმწიფო სასაზღვრო პოლიტიკის განსახორციელებლად, სასაზღვრო რეჟიმის დაცვასთან დაკავშირებული საკითხების დასარეგულირებლად და სასაზღვრო ინციდენტების მოსაგვარებლად „სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესით“ გათვალისწინებულ შემთხვევებში, სახელმწიფო საზღვრის გარკვეულ უბნებზე დაინიშნებიან.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთები, რომელზეც სასაზღვრო კომისრები დაინიშნებიან, განისაზღვრება მოსაზღვრე სახელმწიფოსთან დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებით. კომისრების სამუშაო შეხვედრების კოორდინაციას შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სასაზღვრო პოლიცია განახორციელებს.

სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთებზე (გარდა სასაზღვრო გამტარი პუნქტებისა) კომისრების კანდიდატურებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს დასანიშნად სასაზღვრო პოლიციის უფროსი სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებიდან წარუდგენს.

ხოლო სახელმწიფო საზღვარზე არსებულ სასაზღვრო გამტარ პუნქტებში წარმომადგენლობითი საქმიანობის განსახორციელებლად კომისრების კანდიდატებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებიდან წარუდგენს.

ამ დებულების მიხედვით, სასაზღვრო კომისრები მათზე დაკისრებული საქმიანობის წარმართვის მიზნით, უფლებამოსილების ფარგლებში, განახორციელებენ კონტროლს სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის დაცვაზე და მიიღებენ ზომებს მისი დარღვევის აღმოსაფხვრელად; მიიღებენ აუცილებელ ზომებს სახელმწიფო საზღვრის რეჟიმთან დაკავშირებული საერთაშორისო ხელშეკრულებების მოთხოვნათა შესასრულებლად; დამოუკიდებლად ან მოსაზღვრე სახელმწიფოს სასაზღვრო წარმომადგენლებთან (საჭიროების შემთხვევაში — სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლებთან) ერთად მონაწილეობას მიიღებენ სასაზღვრო ინციდენტების ცალმხრივ თუ ორმხრივ გამოძიებაში; სასაზღვრო ინციდენტების თავიდან აცილების მიზნით შეიმუშავებენ და განახორციელებენ გამაფრთხილებელ ზომებსა და სწრაფად მოგვარების ღონისძიებებს; ზედმიწევნით დაიცავენ სასაზღვრო ინციდენტების დარეგულირების წესებს; საჭიროების შემთხვევაში ითანამშრომლებენ მოსაზღვრე სახელმწიფოს შესაბამის უწყებებთან ან მათ წარმომადგენლებთან; ითანამშრომლობენ საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებთან; განახორციელებენ საერთაშორისო ხელშეკრულებებით მათდამი დაკისრებულ სხვა საქმიანობას.

ამას გარდა, კომისრებს მათი მოვალეობების შესასრულებლად შეეძლებათ აწარმოონ მიმოწერა მოსაზღვრე ქვეყნის სასაზღვრო წარმომადგენლებთან; მოსაზღვრე სახელმწიფოსთან დადებული საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე გადაკვეთონ სახელმწიფო საზღვარი; საჭიროების შემთხვევაში სასაზღვრო ინციდენტების გამოძიებაში ჩართონ შესაბამისი სპეციალისტები; საქართველოს ან მოსაზღვრე სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეხვდნენ მოსაზღვრე სახელმწიფოს სასაზღვრო წარმომადგენლებს, ხელი მოაწერონ შეხვედრის ოქმსა და სხვა დოკუმენტებს; განახორციელონ საერთაშორისო ხელშეკრულებებით დაკისრებული სხვა უფლებამოსილებანი.

წარმომადგენლობითი საქმიანობის ორგანიზების ხელშეწყობის მიზნით, შეიძლება შეიქმნას სასაზღვრო კომისრის აპარატი, სადაც მის მიერ, საჭიროებისამებრ, დაინიშნებიან მისი თანაშემწე, მდივანი, თარჯიმნები და სხვა დამხმარე პირები, რომლებზეც გაიცემა უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი საბუთები. სასაზღვრო წარმომადგენლობითი საქმიანობისათვის საჭირო ბეჭდებისა და ბლანკების ფორმა, შინაგან საქმეთა მინისტრის სამართლებრივი აქტით დამტკიცდება.

სასაზღვრო წარმომადგენლობითი საქმიანობა ფინანსდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სასაზღვრო პოლიციის ბიუჯეტიდან. ბრძანება უკვე გამოქვეყნდა და ძალაშიც შევიდა.



„ხალხთან შეხვედრები გაგრძელდება“

ღვინიაშვილს სანატორიუმისა და აზერბაიჯანთან დამაკავშირებელი ხიდის გახსნა სთხოვეს

(დასაწყისი პირველ გვერდზე)

კახეთის გუბერნატორმა გიორგი ღვინიაშვილმა გაზიფიცირების თემა სამივე სოფლისთვის სამომავლო საკითხად გადადო, რადგან დიდ თანხებს უკავშირდება, სამაგიეროდ, წელს მოგვარდება წყლის პრობლემა და გაზრდილი დებეტის შედეგად ამ სოფლების მოსახლეობა ყოველდღე თუ არა, ყოველ მეორე დღეს მაინც მიიღებს წყალს; სტადიონი მოეწყობა სოფელ ქვემო ქედში. გუბერნატორის განცხადებით, ვეტერინარის ფუნქციას სოფელ ზემო ქედში ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტს შეუთავსებს. ასევე იგეგმება საჯარო სკოლების შენობების გარემონტებაც; მიწები არ ჩამოერთმევათ 5 ჰა და 5 ჰა-ზე ნაკლები ფართობის შემთხვევაში, მოხდება მათზე პირდაპირი წესით მიყიდვა ორჯერ და სამჯერ ნაკლებ ფასში, თანაც ეტაპობრივად.

— „სოციალურ დახმარებებზე კი მოსახლეობამ სოფლის რწმუნებულს და გამგებელს უნდა მიმართოს, შეძლებისდაგვარად მეც დაგეხმარებით. ახლა მთავრობა სწორედ სარეიტინგო ქულების მინიჭების კრიტერიუმებზე მუშაობს და მომავალში უფრო მეტი ადამიანი შეძლებს დახმარების მიღებას“ — აღნიშნა გუბერნატორმა.

მოსახლეობისთვის ერთ-ერთ მტკივნეულ საკითხთან-სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანასთან დაკავშირებით მაჟორიტარმა დეპუტატმა ავთანდილ ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ ეს საკითხი დადებითად არის გადაწყვეტილი. სოფელ ზემო ქედში იქნება სასწრაფო დახმარების მანქანა და ამ ზონის სოფლებს მოემსახურება. რაც შეეხება ლაბორანტის შტატს, ამაზე შეთანხმების მიღწევაა საჭირო; ნაგვის გატანის საკითხის შესწავლა გუბერნატორმა გამგებელს, ნიკოლოზ შანშიაშვილს დაავალა; საბავშვო ბაღებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაც დაგეგმილია.

სოფლებში გამართულ შეხვედრებს პარლამენტის წევრი, დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატი ავთანდილ ლეკაშვილი, ასევე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ბაღაშვილი, გამგებელი ნიკოლოზ შანშიაშვილი, მისი მოადგილე ალექსანდრე ალუღიშვილი და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზაზა ფიროსმანაშვილი ესწრებოდნენ. სოფლებში ჩავიდა გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ზვიად მანდარიაც.

სოფლებში ზემო ქედსა და ქვემო ქედში მოსახლეობამ გაზიფიცირების პრობლემაზე, სასმელი და ტექნიკური წყლის დეფიციტზე ისაუბრა. ადგილობრივების თქმით, სოფელს არა აქვს ნაგავსაყრელი, ამიტომ საჭიროა სოფლიდან ნაგვის გატანა. ქედების ზონის მაცხოვრებლებს გუბერნატორი წყლისა და ნაგვის გატანის საკითხის მოგვარებას დაპირდა

გუბერნატორ გიორგი ღვინიაშვილის თქმით, წლეულს ამ სოფლებში წყლის პრობლემა მოგვარდება და გაზრდილი დებეტის შედეგად სოფლის მოსახლეობა ყოველ მეორე დღეს მიიღებს წყალს. ნაგვის გატანასთან დაკავშირებით, გუბერნატორმა გამგებელს, ნიკოლოზ შანშიაშვილს დაავალა ქედების ზონაში დასუფთავების სამსახურის ავტომანქანით მომსახურების უზრუნველყოფა, შესაბამისი გადასახადის გადახდით. შეხვედრაზე ცალსახად აღინიშნა, რომ ნაგვის გატანა გრაფიკით მოხდება.

შეხვედრაზე სოფლის ბაგა-ბაღის გამგემ დაწესებულებაში ელექტროენერგიის მოწესრიგება მოითხოვა. დედოფლისწყაროს გამგებელმა გუბერნატორისგან ასევე ზემო ქედის ბაგა-ბაღის შენობაში დენის შეყვანასთან დაკავშირებითაც მიიღო დავალება. ქვემო ქედელებმა უპირველეს პრობლემად სასმელი წყლის უქონლობა და მასთან დაკავშირებული სირთულეები დაასახელეს. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, წყალზე დებეტის გაზრდის მიზნით, საჭიროა მძლავრი ტუმბოს დამონტაჟება.

აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან უკვე გამოყოფილია თანხა და სამუშაოებიც დაწყებულია. დამონტაჟდება ტუმბო, შეიკრიბება წყლები და ყოველდღიურ რეჟიმში მოხდება მოსახლეობისთვის წლის მიწოდება. რეზერვუარში აიტუმბება 200 კუბი წყალი და დაკმაყოფილდება 2 000 სული მოსახლე.

შეხვედრაზე ფერმერებმა მადლიერება გამოხატეს საძოვარზე გადასახადის 7 ლარამდე შემცირების გამო და გუბერნატორს სახნავი მიწის გადასახადის შემცირებაზე დახმარებაც სთხოვეს.

მოსახლეობამ გუბერნატორს სოფლის ცენტრალური გზის მოასფალტება, სოფლის გაზიფიცირება, სოფელში ახალგაზრდობისთვის სპორტული მოედნის მოწყობა სთხოვა.

გუბერნატორმა გამგებელთან, ნიკოლოზ შანშიაშვილთან შეთანხმების შემდეგ აღნიშნა, რომ ივლისის თვეში გაიხსნება სატუმბი სადგური და ახალი სტადიონი. სტადიონისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 38 000 ლარია გამოყოფილი.

დედოფლისწყაროში ჩამოსულ პრეზიდენტის რწმუნებულს, გიორგი ღვინიაშვილს, ადგილობრივმა მოქალაქეებმა სოფელ ზემო ქედში მცხოვრები ავადმყოფი მოქალაქის ზაირა ყველაშვილისთვის გულის ოპერაციის დასაფინანსებლად დახმარება სთხოვეს. როგორც შეხვედრისას გაირკვა, ქალბატონს ოპერაციისთვის დაუყოვნებლივ ესჭიროება 4 000 ლარი, თუმცა ოჯახს ამის ფინანსური შესაძლებლობა არ აქვს, რის გამოც მკურნალობას ვერ ახერხებს.

რაც შეეხება ზაირა ყველაშვილისთვის გულის ოპერაციის დაფინანსებას, გუბერნატორთან გამართულ შეხვედრაზევე გადაწყდა, რომ საჭირო დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ, ზაირა ყველაშვილის გულის ოპერაციას 2000 ლარით დააფინანსებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა, ხოლო 2000 ლარით — თავად გუბერნატორი.

კახეთის მხარის გუბერნატორმა გიორგი ღვინიაშვილმა შეხვედრები სოფლებში: სამრეკლოში, ხორნაბუჯსა და ზემო მაჩხაანშიც გამართა. იგი სოფლებში არსებულ მდგომარეობას ადგილზე გაეცნო. გიორგი ღვინიაშვილმა ხალხთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად მოსახლეობის მიერ დასახელებული პრობლემები განიხილა და დადებითად გადაჭრას, ხოლო ზოგიერთი საკითხის შესაბამის უწყებებთან გარკვევას დაჰპირდა.

შეგახსენებთ, გიორგი ღვინიაშვილმა დედოფლისწყაროს მოსახლეობასთან შეხვედრა გასული წლის დეკემბრის ბოლოსაც გამართა და რამდენიმე ოჯახს საშობაო საჩუქრები გადასცა.

წიგნი ისევ აქტუალურია

მითი თუ რეალობა?!

"მრავალი სამყაროდან, რომელიც ადამიანმა ბუნებისგან საჩუქრად კი არ მიიღო, არამედ თავად შექმნა, ყველაზე დიდი წიგნის სამყაროა."
ჰერმან ჰესე

ეს ყველაფერი 1923 წელს, კატალონიაში დაიწყო. როცა სერვანტესის გარდაცვალების დღეს, 23 აპრილს კაცები ქალებს ვარდებს ჩუქნიდნენ და მათგან, წიგნებს იღებდნენ საჩუქრად. ხოლო მას შემდეგ, რაც 23 აპრილი უკვე "იუნესკომ" წიგნის საერთაშორისო დღედ გამოაცხადა, ამ დღის აღნიშვნა თითქმის მთელმა მსოფლიომ დაიწყო. დღე, როცა ქუჩები ახალი თუ ძველი წიგნებით იფინება და კაცობრიობა კიდევ ერთხელ იწყებს მის აუცილებლობაზე საჯაროდ საუბარს.

ძველისძველი კატალონიური ტრადიცია ყოფილა: ერის მფარველი წმინდანის, წმინდა გიორგის სახელობის დღეს ბარსელონელები და ქალაქის ირგვლივ მცხოვრებნი ერთმანეთს ვარდებს ჩუქნიდნენ. ცხადია, იმ დღეს მებაღეებსა და ვარდების გამყიდველებს უამრავი მუშტარი ჰყავდათ. წიგნით მოვაჭრეთა გილდიას ეს ფაქტი ძალიან მოეწონა — როგორც ჩანს, ამ სფეროში მომუშავე ხალხი ყოველთვის განსაკუთრებით გონებაგახსნილი იყო, - და 1923 წლის 23 აპრილს, წმინდა გიორგისა და ვარდების სახალხო დღესასწაულზე, მათ კატალონიაში მცხოვრებლებს ვარდებთან ერთად წიგნებიც აჩუქეს.

თავისი ინიციატივა გილდიამ ძალიან ლოგიკურად დაასაბუთა. ხომ არ იტყოდნენ, წიგნებს ვასაღებთო! ამიტომ გაიხსენეს, რომ 1616 წლის 23 აპრილი მიგელ სერვანტესის და უილიამ შექსპირის გარდაცვალების დღეცაა, და საერთოდაც ხომ შექსპირის გარდაცვალების დღის აღნიშვნა იოჰან ვოლფგანგ ფონ გოეთემ კიდევ 1771 წელს გადაწყვიტა! მოკლედ, წმინდა გიორგის კლასიკოსებიც შეუერთდნენ, და მალე საქმე იქამდე მივიდა, რომ თუ 23 აპრილს კატალონიელები დაახლოებით 4 მილიონ ვარდს ყიდულობდნენ, ამ მხარეში ყოველწლიურად გაყიდული წიგნების 10 პროცენტი 23 აპრილზე მოდიოდა.

1995 წელს კატალონიამ იუნესკოს თავის შესანიშნავი დღესასწაულის შესახებ მოახსენა, მის ინიციატივას გამომცემელთა საერთაშორისო ასოციაციაც შეუერთდა და გენერალური კონფერენციის გადაწყვეტილებით, 23 აპრილი მსოფლიო წიგნის დღედ გამოცხადდა — "წიგნის მიმართ პატივისცემის ნიშნად და ახალგაზრდებისათვის კითხვის შესაყვარებლად". იუნესკოს რეზოლუციაში ნათქვამია: "ვინაიდან წიგნი კაცობრიობის ისტორიაში ცოდნის გავრცელებისა და დაცვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია, 23 აპრილი ყოველწლიურად წიგნისა

და საავტორო უფლებების დღედ ცხადდება".

იუნესკოს გადაწყვეტილება მსოფლიომ დიდი ენთუზიაზმით მიიღო. განსაკუთრებით აქტიური ორი ქვეყანა გამოდგა: ნიდერლანდები, სადაც ამ დღესასწაულს "თეთრი წიგნის კვირეულით" აღნიშნავენ, და დიდი ბრიტანეთი, სადაც "წიგნის მსოფლიო დღე" დიდ დღესასწაულად იქცა. წიგნის დღეს ზეიმობენ ავსტრალიაში, კანადაში, ესპანეთში, საბერძნეთში, შვედეთში, იტალიაში, საფრანგეთში, შვეიცარიაში, სპილოს ძვლის სანაპიროზე, მოზამბიკში, პუერტო რიკოში, კუბაში — სად აღარა... მათ შორის საქართველოშიც.

ჩვენს ქვეყანაშიც ენთუზიაზმით შეხვდნენ ამ დღის დანესებას, განსაკუთრებით ის ადამიანები, რომელთათვისაც წიგნი და ცოცხალი სიტყვა სულ ერთი არ არის. ქართველმა მწერლებმა და გამომცემლებმა სცადეს ისეთივე პომპეზური გაეხადათ ეს დღე საქართველოში, როგორიც მსოფლიოს სხვა ქვეყნებშია, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამის მიღწევა არ თუ ვერ ხერხდება. არადა საქართველოშიც, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, ბევრს საუბრობენ წიგნთან გაუცხოების არასასიამოვნო ტენდენციის შესახებ და კომპიუტერით მის ჩანაცვლებასაც მტკივნეულად განიცდიან. გაზეთი „შირაქი" დაინტერესდა, რას კითხულობს დღევანდელი ახალგაზრდობა, მათთვის წიგნია პრიორიტეტული, თუ ის, მართლაც, მთლიანად ჩაანაცვლა კომპიუტერმა?

ქეთი, 15 წლის: „მე ძალიან მიყვარს წიგნის კითხვა. მიმაჩნია, რომ მას სულ სხვა სამყაროში შევყავარ, სამყაროში, რომელიც კომპიუტერისგან აბსოლუტურად განსხვავებულია. ჩემი საყვარელი მწერალი მარკესია. ახლახანს წავიკითხე მისი „მარტოობის ასი წელინადი".

ნათია, 12 წლის: „წიგნებს მეც ვკითხულობ, თან საკმაოდ პატარა ასაკიდან. ცოტა ხნის წინ დავამთავრე კოელიოს „ალქიმიკოსის" კითხვა.

გიორგი, 14 წლის: „მე წიგნებს კომპიუტერის მეშვეობით ვკითხულობ. მიმაჩნია, რომ ნაწარმოების კითხვა მისი საშუალებითაც მშვენივრად შეიძლება".

მარი, 19 წლის: „წიგნის კითხვა ჩვენს თაობაში კვლავ აქტუალურია. პირადად მე ბოლოს წავიკითხე რემარკის „ტრიუმფალური თაღი". ვიცი, რომ ჩემი მეგობრებიც კითხულობენ წიგნებს და შემიძლია თამამად ვთქვა, რომ მითი წიგნის კომპიუტერით ჩანაცვლების შესახებ რომელიც დღეს საზოგადოებაშია დამკვიდრებული, არარეალურია".

ნინო, 20 წლის: „მე ბოლოს კოელიოს „ალქიმიკოსი" წავიკითხე. ჩემი მეგობრები კვირის პალიტრის მიერ გამოცემულ 50 წიგნს სიამოვნებით ვკითხულობთ".

ჩვენს მიერ გამოკითხულ რესპოდენტთა უმრავლესობა წიგნთან გაუცხოებას უარყოფს და აცხადებს, რომ კომპიუტერთან ერთად წიგნს მათ ცხოვრებაში სერიოზული ადგილი უჭირავს. წიგნის მსოფლიო დღის დანიშნულებაც სწორედ ესაა.23 აპრილის წიგნის მსოფლიო დღედ გამოცხადებით თავის დროზე იუნესკომ, პირველ რიგში, ახალგაზრდებს მოუწოდა წიგნში ეძებნათ სიამოვნება. ასე, რომ,ვისაც ჯერ არ განგიცდიათ წიგნთან ზიარების ბედნიერება, გურამ დოჩანაშვილის სიტყვებით დაგემშვიდობებით:

—„ბედნიერი კაცი ყოფილხართ!
—რატომ?
—რატომ და წინ ისეთი ბედნიერება გელით, მე კი ეს ბედნიერება უკვე განვლილი მაქვს. ეეჰ...
—რა ბედნიერებაა?
—პირველად წაკითხვის".

ინგა შიოლაშვილი

"მე გაზაფხულის ფერებით ვიწვი, უსიყვარულოდ სიცოცხლეც არ მწამს!"

სწორედ გაზაფხულს და სიყვარულს მიეძღვნა ერთი მშვენიერი ლიტერატურული დილა „გაზაფხული შემოსულა, ლენ!" დედოფლისწყაროს რაიონული ბიბლიოთეკის სააქტო დარბაზში, რომელშიც მთელი რაიონის საბიბლიოთეკო ქსელის თანამშრომლები იღებდნენ მონაწილეობას მუნიციპალიტეტის ყველა სოფლიდან.

დილა გახსნა და მიჰყავდა რაინული ბიბლიოთეკის უფროსს მანანა მაჭარაშვილს. როგორც ყოველთვის,ღონისძიება ძალიან თბილი, კარგად ორგანიზებული და თემატურად გამართული იყო. მსმენელთა განწყობა რომანტიკის სასიამოვნო საბურველში გახვია საბავშო განყოფილების ბიბლიოთეკარის თინათინ ელაშვილის მიერ წარმოდგენილმა ნამუშევარმა, რომელმაც ქართული და მსოფლიო ლიტერატურის არაერთი კლასიკოსი მოიშველია იმის დასამტკიცებლად, რომ „უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე"... მირზა გელოვანი, ტიციან ტაბიძე, გალაქტიონი, გოგლა ლეონიძე, ლადო ასათიანი, მორის ფოცხიშვილი, მუხრან მაჭავარიანი, ანა კალანდაძე, კონსტანტინე გამსახურდია, ნოდარ დუმბაძე.. მათი სიყვარულის მოტივზე შექმნილი უკვდავი ნაწარმოებები ხომ ყველა ქართველის გულს სიამით აძგერებს და სიყვარულისა და თავდავიწყებისაკენ უხმობს.

- „მე ხუთჯერ გარდავიცვალე უკვე და ხუთჯერ მოვბრუნდი ამ ქვეყანაზე.. პირველად მე გარდავიცვალე შიშით და აღვსდექი სიმარტოვეში, მეორედ მე გარდავიცვალე სიმარტოვით და აღვსდექი თვალთმაქცობაში, მესამედ მე გარდავიცვალე თვალთმაქცობაში და აღვსდექი სიძულვილში, მეხუთედ მე გარდავიცვალე სიძულვილით და აღვსდექი სიყვარულში. მე ახლა ვცხოვრობ უზომო, განუსაზღვრელი სიყვარულით და ვიცი, რომ სიყვარულით გარდავიცვლები. მე აღარაფერში აღარ აღვსდგები, მე დავრჩები მარადიულ სიყვარულში და მე აღარ მეშინია სიკვდილის!" – ნოდარ დუმბაძის ამ სიტყვებს კომენტარი ნამდვილად არ სჭირდება. არც გალაქტიონის ბარათებს სჭირდება კომენტარი, როცა ის სატრფიალო წერილებს სწერს ოლღა ოკუჯავას. მარტო მიმართვაც საკმარისია: „ჩემო სიცოცხლეო, ოლოლ! სწორედ გალაქტიონის და ქართველ პოეტთა ლექსები შემოგვთავაზეს გამარჯვების ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარმა ანა გურაშვილმა, არბოშიკის ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარებმა ნათია გონაშვილმა და ნინო ალადაშვილმა, მირზაანის ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარმა მარინა ბეროშვილმა, თანასოფლელთა შემოქმედებიდან შეარჩიეს ლექსები ზემო ქედის და არხილოსკალოს ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარებმა ნინო გვრიტიშვილმა და მაია მნათობიშვილმა, რომლებმაც გოგი კავთიაშვილის და შმაგი ჭინჭარაულის სატრფიალო ლირიკა შემოგვთავაზეს. პოეტ მიქა ელბაქიძის ლექსების ავტორსეული ელექტრონული ჩანაწერები მოასმენინეს დამსწრეთ ბიბლიოთეკის აქტიურმა მკითხველმა, ქ.დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის წარჩინებულმა მოსწავლემ მერი ქადაგიძემ

ღონიძიებას გამორჩეული ელფერი მისცა სამთაწყაროელი შაინიძეების მომღერალთა ოჯახურმა ჯგუფმა. სამთაწყაროს ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარის გოჩა შანიძის მამის - სამთაწყაროს კულტურის სახლის დირექტორის ნოდარ შაინიძის, ძმის - გიორგი შაინიძის და ქალიშვილის, პატარა გიული შაინიძის მიერ შესრულებულმა სატრფიალო სიმღერებმა, რისთვისაც დიდი მადლობა მათ.

მასპინძელთა განწყობა სტუმრებსაც გადაედო და არა ერთი ლამაზი ლექსი მიეძღვნა ამ მშვენიერ გრძნობას. გაზაფხულის სითბოც ხელს უწყობდა დამსწრეთ სასიამოვნო განწყობისათვის, თუმცა, ცნობამ იმის შესახებ, რომ სარაიონო ბიბლიოთეკა ახალმოსახლეობისათვის ემზადება და ის, სავარაუდოდ, მალე კომისარიატის შენობაში დაიდებს ბინას, ცოტა გუნება გაუფუჭა სტუმრებს, რადგან ათწლეულების მანძილზე მიჩვეული ადგილის გადანაცვლება ცოტა ძნელად გასათავისებელია. მაგრამ რას ვიზამთ, ყველა სიახლე ხომ, თითქმის, ასეა!

მასპინძლებს კარგად ორგანიზებული და ლამაზი ღონიძიების მომზადებისათვის, ხოლო სტუმრებს მობრძანებისა და ერთგულებისათვის მადლობა გადაუხადა კულტურისა და სპორტის ცენტრის დირექტორმა ივანე შანშიაშვილმა. ღონიძიებას გამგეობის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსხურის უფროსი გიორგი ყოჩიაშვილი ესწრებოდა.

ეს ღონიძიება წიგნის და ბიბლიოთეკების საერთაშორისო კვირეულის ფარგლებში ჩატარდა. ბეჭდვური წიგნისადმი დამოკიდებულება და ინტერესი ელექტრონულმა ტექნიკურმა სიახლეებმა ჩაანაცვლა. ეს ასეა მთელს მსოფლიოში, მაგრამ წიგნის კითხვას ხომ მაინც სულ სხვა მუღამი აქვს. ნუ დავივიწყებთ ამ სიამოვნებას, ვუერთგულოდ წიგნს ზოგადად, ხოლო კონკრეტულად-სარაიონო ბიბლიოთეკას ნუ დავივიწყებთ ცენტრიდან ოდნავ პერიფერიულ, თვალს მიფარებულ ადგილზე გადანაცვლების გამო.

ნაირა გორაშვილი

P.S. ვერ ჩავტიე გულში, რომ არ მეთქვა: სიყვარულის ლამაზი დღესასწაული ნესტანისა და ტარიელის, თინათინისა და ავთანდილის სიყვარულის გარეშე როგორ ვიზეიმეთ?! მით უმეტეს, რომ 2012 წელი იუნესკომ „ვეფხისტყაოსნის" წლად გამოაცხადა. იმედი მაქვს, ამას ცალკე ღონისძიება მიეძღვნება, მაგრამ მაინც...

ოჯახური დრამა

73 წლის თამარ თევდორაშვილს დედოფლისწყაროში ყველა იცნობს. ბოლო 34 წლის მანძილზე ის ფოსტალიონად მუშაობდა და ამ პერიოდში ჩვენს რაიონში თითქმის ყველა ბინის კარი შეუღია. ღვანლმოსილი ქალბატონი ამჯერად უკიდურესად გაჭირვებულია და საკმაოდ მძიმე პირობებში უწევს ცხოვრება. უკვე სამ თვეზე მეტია მისი ოჯახი სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფთათვის განკუთვნილი ყოველთვიური საარსებო შემწეობითაც ვეღარ სარგებლობს. უნარშეზღუდულ ქალბატონს ოჯახში დატრიალებული ტრაგედიების შემდეგ შვილიშვილების აღზრდა-განათლებაზე ზრუნვა დამოუკიდებლად უწევს. არაერთი პრობლემის წინაშე მდგარი თევდორაშვილი ხელისუფლებას დახმარებას სთხოვს.

ხანძარმაც არ დაგვინდო...

ქალაქ დედოფლისწყაროში, მეტალურგების ქუჩა №20-ში მცხოვრებ თამარ თევდორაშვილს ბოლო ერთი წელია, გადაადგილება უჭირს, ამბობს, რომ ქვედა კიდურები ბოლო ხანს განსაკუთრებით აწუხებს. სანამ ძალა შესწევდა, ოჯახის კეთილდღეობისთვის არანაირ სამუშაოს არ თაკილობდა, ოჯახშიც საკუთარი წვლილი შეჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ მანდილოსანია, ხშირად მძიმე სამუშაოსაც ასრულებდა. ობიექტების მშენებლობაზეც უმუშავია და როგორც თავად იხსენებს, რაიონში ბევრი შენობა მისი შელესილ-მოპირკეთებულია.

ვითარება მას შემდეგ შეიცვალა, როცა რამდენიმე წლის წინ მეუღლე გარდაეცვალა, შვილი კი რძალმა მოუკლა. მკვლელობის ჩადენისთანავე მისი რძალიც სამართალდამცველებმა დაიკავეს, ამის გამო ორი არასრულწლოვანი შვილიშვილიც საცხოვრებლად მარტოდ დარჩენილ ბებიასთან გადავიდა. მათი აღზრდისა და ფინანსური უზრუნველყოფის ტვირთიც მას დაეწვა. თუმცა, მალევე გადაადგილების უნარიც შეეზღუდა და ფიზიკურ მუშაობას ვეღარ ახერხებდა, რაც ოჯახსაც დაეტყო...

შვილის მოულოდნელი სიკვდილის შემდეგ თევდორაშვილები სიღატაკის დაძლევის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ საარსებო შემწეობას იღებდნენ, ყოველთვიურად 78 ლარის ოდენობით. მისი დიდი ნაწილი მედიკამენტებში იხარჯებოდა, თუმცა ოჯახი სულდგმულობას როგორღაც ახერხებდა.

უკვე მერამდენე თვეა, ობლები და მათი მარტოხელა ბებია საარსებო შემწეობის გარეშე დარჩნენ. როგორც ოჯახს სოციალური მომსახურების სააგენტოს დედოფლისწყაროს რაიონულ განყოფილებაში აუხსნეს, ფინანსური დახმარება მათ ძველი კომპიუტერის გამო შეუწყდათ. უფროს შვილიშვილს, 170 ლარად ღირებული ძალზე მოძველებული კომპიუტერი მეგობრებმა დაბადების დღისთვის აჩუქეს. ხელისუფლების დაპირების მიუხედავად, საჩუქარი საბედისწერო აღმოჩნდა.

თამარ თევდორაშვილი „შირაქთან“ საუბრისას ამბობს, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ დახმარების შეწყვეტის შემდეგ მათი ყოფა უკიდურესად გართულდა. ოჯახში კვებისა და არსებობის პრობლემა დადგა. ასაკოვანი ქალბატონი ამბობს, რომ გართულებული ჯანმრთელობის გამო სასწრაფო დახმარების ბრიგადის გამოძახებაც ხშირად უწევს.

„გასული წლის დეკემბრის შემდეგ საარსებო შემწეობა აღარ აგვიღია. დახმარება რომ შეგვიწყდა, სოციალური მომსახურების სააგენტოს ადგილობრივი ფილიალი იმდენად გულგრილად მოგვექცა, ამის შესახებ წერილობითაც არ უცნობებიათ. სიარული მიჭირს, მაგრამ, როცა აღმოვაჩინე, რომ დახმარების თანხა აღარ გვერიცხებოდა, ვითრების გასარკვევად სააგენტოში მივედი. ასე მითხრეს, მაღალი ქულები მიიღეთ და დახმარება ამიტომ აღარ გეკუთვნითო. ტირილი დავიწყე, ობლები მყავს, მათ მარტო მე ვყავარ, თვიდან-თვემდე ამ დახმარების იმედად ვიყავით, ბავშვები ცოდონი არიან, ახლა რა გვეშველება-მეთქი. დაცინვა დამიწყეს, სხვები არ არიან ცოდო, თქვენ კომპიუტერი გქონდათო... როცა ჩემი ბიჭი, სერგო თევდორაშვილი მისმა ცოლმა დანით მოკლა, მაშინ ადგილობრივი ხელისუფლება დამპირდა, უფროს ბიჭს დავასაქმებთ, რომ თავის რჩენა შეძლოთო, თუმცა, ორ წელზე მეტი ისე გავიდა, მისთვის ადგილი ვერავინ გამონახა. ახლახან, ჩემს უფროს შვილიშვილს მეზობლის დახმარებით კირქვის კარიერში დარაჯად დააწყებინეს მუშაობა. 160 ლარს იღებს და ესეც ერთ-ერთი მიზეზი გახდა, რომ ჩვენთვის დახმარება შეეწყვიტათ. არადა, ამ უბანში უმრავლესობა დახმარებას იღებს, მანქანებიც აქვთ, ჩვენზე შეძლებულიც ბევრია, მაგრამ მხოლოდ ჩვენ შეგვიჩერდა... აღარც ძალა მაქვს, რომ არსებობისთვის და სამართლის საძიებლად ვიბრძოლო, ვინმეს დახმარება ვთხოვო და ჩემი გასაჭირი ვუამბო. ხელჯოხებით ეზოში გამოსვლასაც ძლივს ვახერხებ, ასეთ მდგომარეობაში რა შემიძლია?.. მთავარი ისაა, რომ დახმარების შეწყვეტის შემდეგ ისედაც რთული ვითარებიდან, გაუსაძლის მდგომარეობამდე მივედით. ძალიან გვიჭირს. ბავშვს სკოლაში ფული სჭირდება, მაგრამ საიდან მივცემ, როდესაც არაფერი გამაჩნია, ვერც ვმუშაობ და მოძრაობაც მიჭირს,“ — ამბობს ბავშვების ბებია.

როგორც „შირაქმა“ გაარკვია, ბიუჯეტიდან თევდორაშვილების შემოსავალი თვეში 165 ლარს შეადგენს, მარჩენალდაკარგული ბავშვისა და მისი ბებიის პენსია. დახმარების შეწყვეტასთან ერთად ოჯახს სამედიცინო მომსახურების პოლისიც შეუჩერდათ, რამაც ავადმყოფ ქალბატონს ექიმთან ვიზიტის შესაძლებლობა საბოლოოდ მოუსპო.

თევდორაშვილების ოჯახში რამდენიმე ტრაგედია დატრიალდა. გარდა იმისა, რომ თამარ თევდორაშვილს მისმა რძალმა შვილი მოუკლა, შემთხვევამდე რამდენიმე წლით ადრე რძალმა, ნაჯახის გამოყენებით, მისი დედაც გამოასალმა სიცოცხლეს. ამ ოჯახის ისტორია კრიმინალურ დრამას უფრო წააგავს.

რძალმა დედაც და შვილიც სისასტიკით მოუკლა

„შირაქმა“ მკვლელობის საქმეს თვალი ყურადღებით გადაავლო და არაერთი საინტერესო დეტალი აღმოაჩინა. საქმის მასალების მიხედვით, 2009 წლის 2 ივლისს, საღამოს, დედოფლისწყაროში, ერეკლე მეორის ქუჩაზე მცხოვრები სერგო თევდორაშვილი და მისი მეუღლე ნატალია თევდორაშვილი ნათესავთან, ვოვა თევდორაშვილთან სტუმრად იმყოფებოდნენ, სადაც არაყი დალიეს და დათვრნენ. დაღამების შემდეგ ისინი სახლში წავიდნენ, მათ მასპინძელიც უკან გაჰყვა. გზაში ფეხით სიარულის დროს მათ შორის ეჭვიანობის ნიადაგზე კამათი წარმოიქმნა. ნატალია ვოვასთან განმარტოვდა. სახლში დაბრუნებული სერგო კი მეუღლეს ეძებდა და რომ ვერ ნახა, დაიძინა. მეორე დღეს დილის 9 საათზე, ახლადგამოღვიძებულმა სერგო თევდორაშვილმა მეუღლეს კამათი დაუწყო და უწესო ქალი უწოდა. ნატალია თევდორაშვილი მეუღლეზე განაწყენდა და მისი მკვლელობა განიზრახა. სახლიდან აიღო დიდი დანა და საწოლზე წამოწოლილ სერგო თევდორაშვილს გულმკერდის არეში დაარტყა. შედეგად მეუღლეს დაუზიანდა გული და მარცხენა ფილტვი. მიღებული ჭრილობების შედეგად თევდორაშვილი ადგილზე გარდაიცვალა.

განსასჯელმა ნატალია თევდორაშვილმა, როგორც წინასწარ გამოძიებაში, ისე სასამართლო გამოძიების დროს თავი მთლიანად სცნო დამნაშავედ და განმარტა, რომ ღამე აბანოში გაათენა, დილით სერგომ სახლში შეიყვანა, ორივემ დალიეს, ქმრის მოთხოვნაზე „წადი სასმელი მოიტანეო“ მან უარი თქვა. სერგო გაბრაზდა, ნატალიაც მთვრალი იყო, ვერ აკონტროლებდა საქონელს, მაგიდიდან დანა აიღო და დაარტყა. შემდეგ სისხლიანი დანა გარეცხა და მეზობელს დაუძახა, რომ სასწრაფოსთვის დაერეკა.

სასამართლო სხდომაზე მოწმეებმა ვერ დაადასტურეს, რომ გარდაცვლილი მეუღლეს ალკოჰოლის მოტანას აიძულებდა და სანაცვლოდ მეზობლებთან დაწოლას სთხოვდა, რამაც ქალის სულიერი აღელვება გამოიწვია. სხდომაზე გარდაცვლილის დედამ თამარ თევდორაშვილმა განმარტა, რომ ნატალია თევდორაშვილმა **მისი შვილის მკვლელობამდე რამდენიმე წლით ადრე თამარ თევდორაშვილის დედა (დედამთილის დედა) თავში ნაჯახის ჩარტყმით მოკლა და რძალი მოკვლით მასაც ემუქრებოდა.** მისი მტკიცებით, სასჯელის მოხდის შემდეგ ნატალია მეუღლეს დაუბრუნდა და თანაცხოვრების მანძილზე ცოლ-ქმარი ხშირად სვამდა. მოწმის სახით დაკითხულმა გარდაცვლილის შვილებმაც დაადასტურეს, რომ მშობლები ხშირად სვამდნენ და იმ დღესაც იკამათეს.

ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ მკვლელობა, მართლაც, თევდორაშვილების ბინიდან ამოღებული დანით იყო ჩადენილი და ტანსაცმელზე არსებული სისხლიც გარდაცვლილის ჯგუფს მიეკუთვნება.

დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს **მოსამართლის, თამარ ჭუნიაშვილის 2009 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილებით, სასამართლომ 37 წლის ნატალია თევდორაშვილი მეუღლის მკვლელობაში დამნაშავედ სცნო და მას სასჯელის სახით 12 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.** მას შემამსუბუქებელ გარემოებად ჩაეთვალა დანაშაულის გულწრფელი აღიარება, ხოლო დამამძიმებელ გარემოებად, დანაშაულის ჩადენა ნასვამ მდგომარეობაში. სასამართლოს გადაწყვეტილებით, მას ასევე შეეზღუდა შვილების მიმართ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

სოციალური მომსახურების სააგენტოს დედოფლისწყაროს რაიონული განყოფილების უფროსის გადაწყვეტილებით კი გარდაცვლილის შვილებზე მზრუნველ პირად მათივე ბებია, თამარ თევდორაშვილი დაინიშნა.

სულ მოკლე ხანში, ბინა, სადაც მკვლელობა მოხდა, ხანძარმა გაანადგურა. 2010 წლის 27 დეკემბერს, დედოფლისწყაროში ერეკლე II-ის ქუჩაზე მდებარე თევდორაშვილების საცხოვრებელი სახლი მთლიანად დაიწვა. უბედური შემთხვევის დროს სახლში არავინ იმყოფებოდა. ოჯახის დიასახლისი თამარ თევდორაშვილი ხანძრის ხელოვნურად გაჩენაში მეზობელს, ალიკა ბაღდასარიანს ადანაშაულებს.

„მაიძულებდა სახლი მისთვის ძალიან იაფად მიმეყიდა, რადგან ამაზე ვერ დაგვითანხმა, ბოლო დროს სულ მემუქრებოდა - რაც მოგივა, მალე ნახავო. სახლში არც ელექტროენერგია და არც გაზი შეყვანილი არ არის, ამიტომ ეს ვერსიები გამოირიცხება. დიდი ეჭვი გვაქვს, რომ ცეცხლი ჩვენმა მეზობელმა შურისძიების მიზნით, ხელოვნურად გააჩინა,“ - აცხადებს დაზარალებული თამარ თევდორაშვილი.

დედოფლისწყაროს სახანძრო სამსახურის იმჟამინდელი უფროსის ნიკალა ფიროსმანაშვილის განცხადებით, ხანძრის თაობაზე შეტყობინება დაგვიანებით მიიღეს. შემთხვევის ადგილზე მეხანძრეთა ორი ბრიგადა ოპერატიულად გავიდა, თუმცა ცეცხლი უკვე მთელს შენობაზე იყო გავრცელებული და მისი ჩაქრობა ვეღარ მოხერხდა. როგორც შს დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველოში განაცხადეს, მომხდარზე სისხლის სამართლის საქმე 188-ე მუხლის მეორე ნაწილით აღიძრა, თუმცა საქმე მალევე დაიხურა.

თამარ თევდორაშვილი ამბობს, რომ რაც ობლებს გარდაცვლილი მამისგან დარჩათ, ყველაფერი ხანძარმა გაანადგურა, ამდენად მათი ყოფა კიდევ უფრო გაუარესდა.

„შირაქმა“ თევდორაშვილებისთვის დახმარების შეწყვეტის მიზეზების გარკვევა სოციალური მომსახურების სააგენტოს დედოფლისწყაროს რაიონულ განყოფილებაში სცადა. სააგენტოში განმარტავენ, რომ ოჯახს საარსებო შემწეობა მიმდინარე წლის 12 იანვრიდან შეუჩერდა. დახმარების შეჩერების მიზეზი კი ის გახდა, რომ თევდორაშვილებს სააგენტოში სახელფასო ცნობა არ წარუდგენიათ. სააგენტოში არ ადასტურებენ თევდორაშვილების ბრალდებას, თითქოს ოჯახს დახმარება ნაჩუქარი ძველი კომპიუტერის გამო შეუჩერდათ. მათი მტკიცებით, ტექნიკის არსებობა დახმარების შეწყვეტის საბაბი არ ხდება.

როგორც სოციალურ სააგენტოში აცხადებენ, ოჯახმა განმეორებითი განაცხადი შემოიტანა, ოჯახი აგენტების მიერ ხელახლა შემოწმდა, თუმცა თევდორაშვილებმა მაღალი ქულა მიიღეს, რის გამოც დახმარება აღარ აღუდგათ. ოფიციალური ინფორმაციით, თევდორაშვილების ოჯახის ხელახლა შემოწმება და სარეიტინგო ქულების დათვლა ბოლო გადამოწმებიდან ერთ წელიწადში იქნება შესაძლებელი.

ამდენად, თევდორაშვილებმა სააგენტოში განაცხადი მომავალ წელს უნდა შეიტანონ. სოციალური აგენტების მიერ ოჯახის ვადაზე ადრე გადამოწმება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ საცხოვრებელი მისამართის, ან ოჯახის წევრთა ცვლილება მოხდება.

ილია მარტყოფლიშვილი

პროექტი -„ახალი თაობა - ახალი იდეა" წარმატებით სორციელდება

უკვე მესამე თვეა, დედოფლისწყაროს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში,მისი დირექტორის თამარ ბაღაშვილის ინიციატივით, პროექტის- ,,ახალი თაობა - ახალი იდეის"(პროექტის წარმომადგენელია გიორგი პოპიაშვილი) განხორციელება მიმდინარეობს, რომელიც სოციალურად დაუცველი (18 -დან 35 წლამდე) მოქალაქეებისთვის კომპიუტერის და ინგლისური ენის შესწავლის ხელმისაწვდომობას ითვალისწინებს. პროექტი აქტიურ ფაზაშია შესული და მასში არაერთი ახალგაზრდაა ჩართული. ისინი დიდი მონდომებით და წარმატებით ეუფლებიან როგორც კომპიუტერთან მუშაობას, ასევე ინგლისური ენის შესწავლას. ახალგაზრდები მიღებული შედეგით კმაყოფილებას ვერ ფარავენ.

,,შირაქი" დაინტერესდა, თუ როგორ მიმდინარეობს პროექტის განხორციელება.

- ,,ორი შვილის დედა ვარ, მყავს 9 წლის ბიჭი და 2 წლის გოგონა. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დატვირთული ვარ, ამ პროექტში ჩართულობის შანსს ვერ გავუშვებდი ხელიდან. ყოველდღე სოფელ სამრეკლოდან დავდივარ და ძალიან კმაყოფილი ვარ. კომპიუტერი ჩემთვის იმდენად უცხო იყო, რომ „მაუსის" ხელში დაჭერაც არ ვიცოდი, ახლა ის ჩემთვის ძალიან საჭირო ნივთი გახდა. მისი ცოდნა დღეს ყველასთვის აუცილებელია, ისე კარგად გვასწავლიან, ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ უფასო სწავლება ასეთ მაღალ დონეზე იქნებოდა. ძალიან მალე ავითვისე კომპიუტერი, ისე, რომ ახლა პროგრამა ,,EXCEL"-ში მედიკოსების ხელფასს ვაკეთებ. პირადად მე ამ საქმეს ძალიან სერიოზულად ვეკიდები და იმედი გამიჩნდა, რომ დავსაქმდები. ამის პერსპექტივა აქამდე ნამდვილად არ მქონდა. მადლობა პედაგოგებს." - აცხადებს 32 წლის რუსუდან ჯაბუშანური.

- „საოცარი შედეგი გვაქვს, არ ველოდით, თუ ასეთი კარგი ნაკადი შემოვიდოდა. მართლაც ბევრმა მათგანმა „მაუსზე" მუშაობაც კი აქ ისწავლა, მაგრამ ყველა მათგანში სწავლას მოწყურებულ ახალგაზრდას ვხედავთ, ნიჭიერები არიან და ადვილად იძენენ ცოდნას. შედეგიც სახეზეა, მათში პროგრესი ნამდვილად შეიმჩნევა და ძალიან სწრაფად მიდიან წინ"-აცხადებს პროექტის ხელმძღანელი და კომპიუტერის პედაგოგი თამარ ბაღაშვილი.

„ინგლისური ენის შესწავლის სურვილი არაერთხელ გამჩენია, მაგრამ ფინანსური გარემოების გამო, ეს ვერასოდეს შევძელი. ვერც იმას მოვიფიქრებდი, ოდესმე ამის საშუალება ამგვარი პროექტის სახით თუ მომეცემოდა. ძალიან კმაყოფილი ვარ და ხალისით დავდივარ. ახლა ეს ოცნება რეალურად ხელმისაწვდომი გახდა ჩემთვის. სხვა თუ არაფერი, სახლიდან გამოვდივარ და თან ცოდნას ვიძენ, ცოდნას, რომელიც ჩემი შვილების დახმარებისთვის მაინც წამადგება."-აცხადებს ინგლისური ენის შემსწავლელი კურსის მოსწავლე ლელა მეფუდიშვილი.

- „პირადად მე ამ პროექტის შესახებ შემთხვევით გავიგე. ძალიან გამიხარდა, რუსული კარგად ვიცი და რატომაც არ უნდა ვიცოდე ინგლისური. მით უმეტეს, ამ ენის ცოდნით ყოველთვის ვიყავი დაინტერესებული, თანაც ის ხომ საერთაშორისო ენაა, სიხარულით შევუერთდი მეზობელი გოგონების გუნდს, რომლებიც აქ სწავლობენ. ორი წლის გოგონას სახლში მეუღლეს ვუტოვებ და ორი საათით ჩემი ცოდნის ამაღლებისთვის გამოვდივარ" - ამბობს დიანა მილიოხინა.

- „მოხარული ვარ, რომ რაიონში ასეთი კარგი პროექტის თანამონაწილე გავხდი. ეს ჩვენთვის კარგი შანსია, რომელიც აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. პირადად მე პროფესიით ექთანი ვარ, ვმუშაობდი კიდეც, მაგრამ შვილის დაბადების შემდეგ ამ საქმეს მოვწყდი და აღარც მიცდია სამსახურის შოვნა, თუმცა, ახლა მივხვდი, რომ სამსახური არ უნდა დამეტოვებინა. ამ პროექტმა ცოტა ხნით სახლს და ყოფით პრობლემებს მომწყვიტა. გაკვეთილებზე გამოსვლით ცოდნასაც ვიძენ და თითქოს საინტერესო, მრავალფეროვანი გახდა ჩემი ცხოვრება- სახლიდან გამოსული ქალი მაინც სხვანაირად იწესრიგებს თავს, ყოველი დღე ერთმანეთს არ ჰგავს. ამასთან, გამოსვლა კომუნიკაციის კარგი საშუალებაა, ყველაფერთან ერთად ახალ მეგობრებსაც ვიძენ და ყველაზე მთავარია ისიც, რომ ჩემს პროფესიასთან ერთად მექნება მეორე პროფესიაც. ინგლისური ენის ცოდნა დღეს უკვე აქტუალურია. რა ვიცით, რა ხდება ცხოვრებაში, დღეს ის ყოველ ნაბიჯზე უკვე საჭირო და გამოსაყენებელი ენაა."-ამბობს ეკა გაგოშვილი.

პროექტს ახორციელებს ,,ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი" და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრი. პროექტი შესაძლებლობას აძლევს დედოფლისწყაროელ სოციალურად დაუცველ ახალგაზრდებს, კერძოდ მათ,ვისაც სოციალური სუბსიდირების საგენტოს მიერ 150 000 სარეიტინგო ქულაზე ნაკლები ქულა აქვთ მინიჭებული,უფასოდ გაიარონ კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელი სამთვიანი, ხოლო ინგლისური ენის შემსწავლელი ათთვიანი კურსი.

,,51 მოსწავლე მყავს, მოსწავლეების ცოდნის მიხედვით ისინი დავყავი სხვადასხვა კატეგორიებად, შევადგინე ოთხი ჯგუფი,თითოეულთან ორ საათს ვმუშაობ და მთელი დღე აქ ვატარებ. არიან ისეთებიც, რომლებსაც საწყისი ეტაპიდან სურთ პროგრამის ათვისება. ზოგმა ნაწილი იცის, მაგრამ დასახვეწია და უფრო ღრმა და საფუძვლიან შესწავლას საჭიროებს. უნდა გამოგიტყდეთ, თავიდან მეგონა, აქ სწავლისთვის კი არა, უბრალოდ, სახლიდან გამოსასვლელად გამოვიდოდნენ გოგონები, რადგან მათი უმეტესობა დიასახლისია, თუმცა აღმოჩნდა, რომ საქმე სხვაგვარად იყო. სინამდვილეში საკმაოდ მონდომებულ ახალგაზრდებს შევხვდი, რომლებსაც გულწრფელად უნდათ, რომ აქედან ცოდნა წაიღონ და ამისთვის დროსა და ენერგიას არ იშურებენ. მყავს ისეთი მოსწავლეც, რომელიც ძალიან მოწადინებულია და მთხოვა ნახევარი საათით ადრე მოვიდე და ცალკე ვამეცადინო. მე, რა თქმა უნდა, თხოვნას დადებითად შევხვდი და მის სურვილს ვასრულებ. ასე, რომ მოსწავლეებიც და ჩვენ, პედაგოგებიც საქმეს ძალიან სერიოზულად ვეკიდებით, შედეგიც უკვე გვაქვს, მათ ბევრი რამ შეისწავლეს იმისთვის, რომ უცხოელს გამოელაპარაკონ და არ შეირცხვინონ თავი." - აცხადებს ჩვენთან საუბარში ინგლისური ენის პედაგოგი დონარი ჯალიაშვილი.

როგორც გავიგეთ, ინგლისური ენის სწავლება ათ თვეს გასტანს. ამჯერად კი, სწავლების მხოლოდ მესამე თვე დაიწყო, რომელიც წარმატებით მიმდინარეობს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის გამართლებული პროექტია. წარმატებებს და წინსვლას ვუსურვებთ როგორც მოსწავლეებს, ასევე პროექტის ორგანიზატორებს.

ლალი მეხრიშვილი

გაზაფხული მოვიდა!

ღია გაკვეთილი, რომლის ძირითადი თემა წლის ყველაზე ლამაზი დრო - გაზაფხული , ხოლო დევიზი „გვიყვარს მშვენიერი გაზაფხული" იყო, ქალაქ დედოფლისწყაროს №3 საბავშვო ბაღში გამოცდილმა პედაგოგმა ნანა სეხნიაშვილმა, უფროსი ასაკის ჯგუფში ჩაატარა. გაკვეთილს მშობლები, სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრის სეციალისტები მაია ხუმარაშვილი და ნინო კვიწინაშვილი, ბაღის გამგე მაია გონაშვილი და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ. მშვენიერმა გოგო-ბიჭებმა კარგად იციან, რომ წელიწადის ოთხ დროში ყველაზე ლამაზი და ძლიერი გაზაფხულია, რადგან იგი ზამთრის ყინვას ერევა, ამარცხებს და იწყება ახალი სიცოცხლე, მზე მძლავრობს, თბება, ხეები იფოთლება, მინდორი მწვანდება და ყვავილებით ირთვება. პირველი მახარობელი ენძელაა, მას მშვენიერი ია მოსდევს, სწორედ იას უძღვნიან მშვენიერ სიმღერებს ბავშვები: - ერთი ია მე, ერთი ია შენ, სიხარულით ფეთქავს გული, მოვიდაო გაზაფხული! - გაზაფხულის ,,დახასიათების" და თეორიული ცოდნის გამომჟღავნების შემდეგ ბავშვებმა მხატვრული ნაწილი მინი- სპეკტაკლით წარმოადგინეს. ბუნების გამოღვიძებით და დათბობით გახალისებული ,,ჩიტუნები" ჟღურტულით დაქრიან აღმა-დაღმა, შურდულმომარჯვებული ცელქი ბიჭები კი, არ ისვენებენ და „საომრად" ემზადებიან, მაგრამ მათ ,,მერცხლები" უერთდებიან, ზეცაში დანავარდობენ და გაზაფხულის მოსვლას ახარებენ გარშემომყოფთ,მათ „კოვზი ნაცარში უვარდებათ", რადგან გოგონები მათ ,, ღალატობენ" და ჩიტებს „თვდასხმის" შესახებ აფრთხილებენ. ამ დროს ,,პეპლები" შემოფრინდებიან, ცელქი ბიჭები ახლა ,,პეპლებს" ბადეებით დასდევენ დასაჭერად, მაგრამ ამაოდ. „ბულბულებიც" ეთანხმებიან. ფუტკრები კი ჩვეული შრომისმოყვარეობით ტკბილ თაფლს აგროვებენ, მსუნაგი გოგო-ბიჭები მათ პირის ჩასატკბარუნებლად ცოტა-ცოტა თაფლს სთხოვენ.ეს ყველაფერი ძალიან ლამაზი სანახაობაა, რადგან შესაბამის კოსტუმებში გამოწყობილი ბავშვები ცოცხლად და ხალისიანად ანაცვლებენ ერთმანეთს, მღერიან და ცეკვავენ. ტრადიციულ ქართულ ცეკვებს- „ქართულს" და „აჭარულს" ბოშა გოგონების ჟრიამული და მოხდენილი ცეკვა ცვლის.

ღონისძიების დასკვნით ნაწილში ყველა ბავშვმა მიიღო მონაწილეობა აპლიკატური ნახატის შექმნაში, რომელსაც „გაზაფხულის სურათი" დაარქვეს. თავად დარბაზი, მისი მორთულობა და გაფორმება გაზაფხულის მძაფრ განცდას იწვევდა მნახველში: იასამნებით, ტიტებით, იებით - ყოჩივარდებით მორთული მდელო, „ნამდვილი ტყე", ტყეში ჩადგმული მეტყევის ქოხი, ირგვლივ გაშლილი ჩიტები, მერცხლები, პეპლები, კურდღლები და ამღერებულ-აცეკვებული მშვენიერი გოგო-ბიჭები სასიამოვნო სანახავი იყო.ღონისძიებას მუსიკალურად პედაგოგი ხათუნა ჯანაშვილი აფორმებდა, ხოლო ცეკვებს მასწავლებელი ელზა ჩახვაძე ხელმძღვანელობდა. პატარებს სხვადასხვა ფორმის ჩაცმა-მოწესრიგებაში ძიძა ესმა ქადაგიძე ეხმარებოდა.

როგორც ყოველთვის, პედაგოგ ნანა სეხნიაშვილის მიერ მომზადებული ღონის ძიება იყო თემატურად გამართული, შინაარსიანი და მიზანდასახული, რომელიც გულისხმობდა: „გავიზარდოთ სასახელო ქალებად და კაცებად."

ნაირა გორაშვილი

ა უ ტ ი ზ მ ი

სულ რაღაც ნახევარსაუკუნოვანი ისტორია აქვს დაავადებას, რომელსაც აუტიზმი ეწოდება. იგი პირველად 1943 წელს აღწერეს. გასულ კვირას აუტიზმის მსოფლიო დღე აღინიშნა. თითქმის ყველა საინფორმაციო საშუალებამ გაამახვილა ყურადღება ამ დაავადებაზე, რადგან მოსახლეობის დიდი ნაწილი ვერ ერკვევა მის არსში. ამიტომ, ჩვენც ვთხოვეთ დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მკითხველისათვის მიეწოდებინა ინფორმაცია აუტიზმის კლინიკისა და მისი მკურნალობის შესახებ.გთავაზობთ საუბარს:

აუტიზმი განვითარების შეფერხებაა. კლასიფიცირდება, როგორც ნეიროგანვითარების ფუნქციის დარღვევა, რომელიც გამოიხატება ხაზგასმული არაადექვატური სოციალური ინტეგრაციით, კომუნიკაციის დარღვევებით, ინტერესთა და ქცევის მანერათა სპეციალური სერიით.

ეტიოლოგია უცნობია, თუმცა ეჭვობენ, რომ აუტიზმი გენეტიკურად განპირობებული სისუსტეა გარემოს ხასიათობრივი ცვლილებების მიმართ. იგი ხასიათდება შემდეგი ძირითადი მახასიათებლებით:

1) სოციალური ურთიერთობის დამყარების უუნარობა.

2) კომუნიკაციის მიზნით მეტყველების გამოყენების უგულველყოფა.

3) ცვლილებებისადმი ძლიერი რეზისტეტობა.

4) საგნებით გატაცება.

ეს ნიშნები ბავშვში იკვეთება 30 თვის ასაკამდე (3 წელი). ასეთი ბავშვის მშობლები ამბობენ, რომ მათი შვილი ახირებული, უცნაური ან თავისებური ბავშვია. რთული ფორმის დროს ბავშვს გარემოსთან კონტაქტის შეუძლებლობის, უკონტაქტობის გარდა ახასიათებს თვითდამაზიანებელი, აგრესიული ქცევა, შიში; მსუმბუქე ფორმისას კი - დასწავლის უუნარობა.

აუტიზმით დაავადებული ბავშვებისათვის პირველი მახასიათებლებია: ყურადღებას არ აქცევენ ოჯახის წევრებს, თითქოს ვერ ამჩნევენ, უჭირთ თავისი ემოციის გამოხატვა და სხვისზეც არ რეაგირებენ; მეტყველებას არ ანიჭებენ მნიშვნელობას და თამაშისას გამოსცემენ მონიტონურ ხმებს, გაწელილ-წამღერებულ ინტონაციებს. საკუთარ თავზე ლაპარაკობენ მესამე პირში, ერიდებიან პირდაპირ მზერას, არ რეაგირებენ თავის სახელზე, არიან გულგრილნი, აქვთ ჭამის თავისებურება (ამოჩემებული ნივთების ღეჭვა).

ასეთ ბავშვებს აქვთ ხატვის, მუსიკის, ანგარიშის, ფაქტების დამახსოვრების, მხედველობითი გარჩევის და ა.შ. გაძლიერებული უნარი.

ახალი გარემო მათთვის ძლიერი გამაღიზიანებელია, სათამაშოზე მეტად მათთვის მიმზიდველია სხვადასხვა ნივთი, ბოთლი, ღილები.

აუტიზმი ოთხჯერ ხშირია ბიჭებში, ვიდრე გოგონებში.

მიზეზი: ეტიოლოგია უცნობია, თუმცა ოჰაიოს შტატის უნივერსიტეტში ამტკიცებენ, რომ ორსულობის 24-28-ე კვირას გადატანილი ძლიერი სტრესი (მაგ. ახლობლის სიკვდილი, სამსახურიდან დათხოვნა, უეცარი, ძლიერი შიში) დიდი შანსია, რომ დაიბადოს აუტიზმით დაავადებული ბავშვი.

ორსულთა სტრესი ითვლება აუტიზმის მიზეზად.

მკურნალობა: აუტიზმის მკურნალობა კომპლექსურია და მთელი სიცოცხლე გრძელდება. ის არ იკურნება, მაგრამ სწავლობს იყოს საზოგადოების სრულფასოვანი წევრი. თერაპია გულისხმობს, დამამშვიდებელ საშუალებებთან ერთად, დიეტას, ფსიქოლოგიურ დახმარებას, სამკურნალო ფიზკულტურას.

აუტიზმი არ ვლინდება ფიზიკური ნიშნებით, იგი უმეტესად არის ქცევითი ცვლილებებით გამოვლენილი.

დედოფლისწყაროს
მუნიციპალიტეტის
საზოგადოებრივი ჯანდაცვის

ინტელექტუალურ საკუთრებას დაცვა სჭირდება

26 აპრილი ინტელექტუალური ქონების დაცვის საერთაშორისო დღეა. ეს დღე, მთელ მსოფლიოსთან ერთად, საქართველოშიც აღინიშნა. ცნობადი სახეები- პოეტები ,მუსიკოსები, მომღერლები, დედაქალაქში გავიდნენ და იმ ობიექტებს ეწვივნენ, სადაც, ძირითადად, ფალსიფიცირებული კომპაქტ-დისკები თუ სხვა ინტელექტუალური პროდუქცია იყიდება. ამჯერად ღონიძიებას საინფორმაციო კამპანიის სახე ჰქონდა. მათ განუმარტეს რეალიზატორებს, რომ მსგავსი დარღვევებისათვის არსებობს სანქციები. მაგალითად, პირველ ჯერზე ჯარიმა 500-დან 3000 ლარამდე განისაზღვრება, ხოლო მეორე ჯერზე ჯარიმა 3000-დან 5000-მდეა. დარიგდა სპეციალური საინფორმაციო ბუკლეტები და იმედი გამოითქვა, რომ ფალსიფიცირებული პროდუქციით ვაჭრობა თანდათან შემცირდება და მის ადგილას ლიცენზირებული და ხარისხიანი პროდუქცია ჩაენაცვლება. ალბათ, ყველა ვმჯდარვართ სამარშრუტო ტაქსში და მოგვისმენია უგემოვნო და მდარე მუსიკალურ დონეზე გადამღერებული ვიღაც-ვიღაცეების შესრულებული საესტრადო სიმღერები, რომელსაც ჩვენი ცნობილი მომღერლები ასრულებენ. ხშირად გაგვჩენია პროტესტის გრძნობა, რადგან ეს ყველაფერი ისევ ჩვენი ახალგაზრდობის, ჩვენი მომავალი თაობის მუსიკალური დონის დაქვეითებას ემსახურება და ვიღაცის ჯიბის გამდიდრებას. თქვენი ყურადღება ამ ბოლო დროს გაჰიტებულ და დიდისა თუ პატარის მიერ ატაცებულ ერთ სიმღერასაც მინდა მივაპყრო; 'წყაროზე ჩაგიყვანს და არ დაგალევინებსო" მღერიან დამახინჯებული ტექსტით მურმან ლებანიძის ცნობილ ლექსს, რომელსაც მან „ციცო" დაარქვა. არ ვიცი, რა დაუწუნეს „ციცოს", რომ ჩაანაცვლეს "ქალოთი"! ამ პერიფრაზირებამ ძალიან ბევრი ინტელექტუალური ადამიანის გულისწყრომა გამოიწვია. ეს თავად ცნობილი პოეტის დიდი შეურაცხყოფაცაა. ასეთ რამეს ასე იოლად აღარ იზამს არავინ, თუ ეცოდინება, რომ ასეთი ქმედებისათვის დაისჯება სოლიდური ჯარიმის გადახდით, რომელსაც ინტელექტუალური ქონების დაცვის კანონი ითვალიწინებს და რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ.

მონატრება

გუჯა ათანელიშვილი

გავიდა ტკივილით და სევდით სავსე ორმოცი დღე. მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო ჩვენთვის შენი გარდაცვალება. შენ მხოლოდ ორმოცდაათი წელი იცოცხლე, მაგრამ შენი კვალი დატოვე სანათესაოში, სამეგობროსა თუ სამეზობლოში. უზომოდ კეთილს, მხიარულს და ყურადღებიანს თავადაც არ გაკლდა სიყვარული და პატივისცემა. ეშურებოდი ცხოვრებას, თითქოს გრძნობდი, რომ მოკლე გზა გქონდა გასავლელი. მოასწარი სამივე ქალიშვილის გათხოვება-დაბინავება, სამი შვილიშვილის დაბადებითაც გაიხარე, თუმცა, წინ ბევრი მიზანი და გეგმა დაგრჩა აუსრულებელი. ნახვედი ჩვენგან და დაგვიტოვე მოუშუშებელი ტკივილი, მხარი ჩამოუგდე მეუღლეს, დააობლე შვილები, რომლებსაც ჯერ კიდევ სჭირდებოდათ შენი ზრუნვა და ამაგი. ჩვენ ვერ ვრწმუნდებით იმ სიტყვების ჭეშმარიტებაში, თითქოს დრო მკურნალიაო. რაც მეტი დრო გადის, უფრო მძაფრად ვგრძნობთ უშენობას და გვენატრები. ორმოცი დღე მიილია, ჩვენ ვლოცულობთ შენი სულისათვის, რათა უფალმა ნათელი დაგიმკვიდროს და განისვენო იქ, სადაც მართალნი განისვენებენ, სადაც არ არის ურვა და ჭმუნვა. ჩვენ ყოველთვის მოვალთ შენს საფლავზე, მოგიტანთ ყვავილებს, აგინთებთ სანთლებს და დავიწყებას არ მივცემთ შენს სახელს, რომელიც ასე ძვირფასია ჩვენთვის.

შენი ოჯახი

გამოსათხოვარი

შოველი ქადაგიძე

ძვირფასო ცისანა, გია და კახა, მაჩაბლიშვილების მთელი ოჯახი ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ შოველი ქადაგიძის გარდაცვალების გამო. თქვენმა ოჯახმა და მთელმა რაიონმა დაკარგა ძვირფასი ადამიანი, ნამდვილი ვაჟკაცი, საუკეთესო პედაგოგი და სათნო ადამიანი. ამავე დროს საუკეთესო მეუღლე, საუკეთესო მამა და მამამთილი, პაპა, ოჯახის ღირსეული თავკაცი. ვერ ვიჯერებთ, რომ შოველის ღიმილიან სახეს ვეღარ ვიხილავთ. ნათელში იყოს მისი კეთილი სული და მსუბუქი იყოს მის გულზე დაყრილი მიწა.

თანაგრძნობით, ბელურა, ციცინო, ნანული, ბეჟან მაჩაბლიშვილები.

მეუღლე ცისანა მჭედლიშვილი, შვილები: გია, კახა ქადაგიძეები; რძლები: ვერონიკა პიხტოვნიკოვა, ირინა კარაკულოვა; შვილიშვილები: ზურაბი, ხატია, გიგა, ანა ქადაგიძეები, და ლილი ქადაგიძე, დისშვილები: თემური, გელა გოგილაშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან

შოველი ქადაგიძის

გარდაცვალებას. დაიკრძალა 26 აპრილს დედოფლისწყაროში.

დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლები იუწყებიან ყოფილი

თანამშრომლის

ზინა ნაცვლიშვილ-გონაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

მანანა და ჯუნო ბენაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ შიო და ნანა ჯანაშვილებს დედის

მერის

გარდაცვალების გამო.

ოზაანის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი მწუხარებას გამოთქვამს და სამძიმარს უცხადებს სკოლის დირექტორს, მზია ლეკაშვილს დისშვილის

ზაზა კუსრაშვილის

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები: ვალერი ნატროშვილი, ვახტანგ სეფიაშვილი, ნანა ლაპიაშვილი, ბადრი ბერიკელაშვილი ოჯახებით იუწყებიან

შოველი ქადაგიძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის სამღვდელოება და მრევლი სამძიმარს უცხადებს მედავითნე მარინა თურქაძეს მამის

ზურაბ თურქაძის

გარდაცვალების გამო

ჭარბი ძოვება-ეკოლოგიური კატასტროფის მიზეზი

პრობლემის გადაჭრას ბავშვებიც ცდილობენ

22 აპრილი დედამიწის დღე იყო. პირველად ეს დღე 1970 წელს აღინიშნა, როცა ცნობილი ამერიკელი გარემოსდამცველი სენატორის, გეილორდ ნელსონის მოწოდებით 20 მილიონი ამერიკელი გამოვიდა ჩვენი პლანეტის-დედამიწის დასაცავად. „დედამიწის დღე" მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური გარემოსდაცვითი ღონისძიებაა, რომლშიც ყოველ წელს მსოფლიოს 175 ქვეყნის 17 000-მდე ორგანიზაცია და მილიონობით მოხალისე იღებს მონაწილეობას დედამიწაზე საკუთარი გარემოს გაუმჯობესების მიზნით. საქართველოში „დედამიწის დღე" პირველად 1990 წელს აღინიშნა, საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ინიციატივით და მას შემდეგ ყოველწლიურად ამ ღონისძიებას უერთდება მრავალი ორგანიზაცია და მოხალისე, რომლებიც ახორციელებენ სხვადასხვა ტიპის გარემოსდაცვით საქმიანობას მთელი ქვეყნის მასშტაბით.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

eed Evangelischer Entwicklungsdienst

CENN Caucasus Environmental NGO Network

სერტიფიკატი

Certificate

მიენიჭა

Awarded to:

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ქ. დედოფლისწყაროს II საჯარო სკოლას

to the Dedoplistskaro II Public School of Dedoplistskaro Municipality

დედამიწის დღის ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობისათვის

For active participation in the Earth Day Campaign

21-23 აპრილი, 2012 წ.

April 21-23, 2012

ჯილ კელი Jill Kelley	გიორგი ხაჩიძე Giorgi Khachidze	ნანა ჯანაშია Nana Janashia
USAID ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის ოფისის დირექტორი Energy & Environment Office Director	საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრი Minister of Environment Protection of Georgia	CENN აღსრულებული დირექტორი Executive Director

დედამიწის დღესთან დაკავშირებით დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ლიკა ლოლაშვილმა, ქეთი შანშიაშვილმა და სოფიო მენთეშაშვილმა კიდევ ერთ პროექტზე იმუშავეს და ბულაჩაურის სასტუმრო კომპლექსში მიმდინარე სამდღიან ბანაკში მიიღეს მონაწილეობა, რომელიც გარემოსდაცვით საკითხებს ეძღვნებოდა. ღონისძიების ორგანიზატორი იყო კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელი (CENN), სხვადასხვა დონორ ორგანიზაციებთან (REG, USAID) ერთად, რომლებიც მესამე წელია, საქართველოში და მათ შორის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ახორციელებს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ პროექტებს.

საპილოტე პროექტის განხორციელებაში ამჯერად სკოლის მოსწავლეებიც ჩაერთვნენ. მათთემად აირჩიეს პროექტი:"საერთო სარგებლობის საძოვრების მდგრადი მართვა". სწორედ ამ პროექტის პრეზენტაცია მოეწყო ბულაჩაურში 21—23 აპრილს, სადაც დედოფლისწყაროელმა მოსწავლეებმა გამორჩეული აქტიურობა გამოიჩინეს და სერტიფიკატიც დაიმსახურეს „დედამიწის დღის ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობისათვის". სერტიფიკატის გარდა მათ ჯილდოდ ამერიკის ელჩის შექებაც მიიღეს, რომელიც იმ დღეს ბულაჩაურის სკოლაში ჩავიდა და გამწვანების აქციაში მიიღო მონაწილეობა. ღონისძიებაში მონაწილე რვა რეგიონის საჯარო სკოლებიდან ასეთი სერტიფიკატის მფლობელი მხოლოდ ორი-დედოფლისწყაროსა და წაღვერის სკოლა გახდა.

№2 საჯარო სკოლის აქტიური მოსწავლეები კი პროექტის წარმატებული პრეზენტაციის შემდეგ მის განხორციელებას დედოფლისწყაროში უახლოეს მომავალში დაიწყებენ.

ინგა შიოლაშვილი

ულოცავენ!

ლევან ბაღაშვილს!
თიკო ალადაშვილს!

გილოცავთ ბედნიერებას, გისურვებთ ტრადიციული ქართული ოჯახის შექმნას. სიყვარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების მარადიული მეგზური. აკვანთა სიმრავლე დაგბედებოდეთ!

პატივისცემით,
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამშრომლები

გილოცავთ ქორწინებას. თქვენს ახლადშექმნილ ოჯახს არასოდეს მოჰკლებოდეს ღვთის მფარველობა. გისურვებთ სიყვარულს და შვილთა სიმრავლეს.

გაზეთ "შირაქის" რედაქციის თანამშრომლები

ლევან ბაღაშვილს!

ჩვენთვის უსაყვარლესო ადამიანო, გილოცავთ ქორწინებას. გისურვებთ ბედნიერებას შენს ძვირფას მეუღლესთან ერთად. იცოცხლეთ დიდხანს, ულევი სიხარული, სიყვარული და ბავშვთა სიმრავლე დაგანათლოთ უფალმა. გკოცნით და გეფერებით, მეუღლესთან ერთად.

ბელურა და ციცინო მაჩაბლიშვილები.

ფინალს მიღმა დარჩენილი "ბარსელონა" და აბირებული მესი

განმეორებით ნახევარფინალურ მატჩში „კამპ ნოუზე" რომ სრული კატასტროფა ელოდათ, „ბარსელონას" ფეხბურთელები ნამდვილად ვერ წარმოიდგენდნენ, მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც უხეში თამაშისთვის მსაჯმა მოედნიდან „ჩელსის" კაპიტანი გააძევა. პირველი ტაიმის ანგარიში მის მიწურულამდე კარგს არაფერს უქადდა „ჩელსის" - არისტოკრატთა გუნდი 0:2 აგებდა.

მაგრამ იმ დღეს ფორტუნა აშკარად „ჩელსის" მხარეზე იყო. პირველად ეს მაშინ გახდა ცხადი, როცა ტაიმის მიწურულს ბრიტანელებმა ანგარიში გაათანაბრეს. დღევანდელ შეხვედრაში მოხდა ის, რაც ძალიან იშვიათად შეიძლება მოხდეს: ღეო მესიმ თერთმეტმეტრიანი დარტყმა ვერ გამოიყენა - ბურთი ზედა ძელს მოხვდა.

„ბარსელონა" და „ჩელსი" პირველი ტაიმის შემდეგ 1:2 ანგარიშზე გაიყარნენ. ტაიმის ბოლოს ბარსელონელებს რამდენიმე კარგი მომენტი კიდევ ჰქონდათ - ფაქტობრივად მთელი ტაიმის განმავლობაში, თუ პირველ წუთებს არ ჩავთვლით, „ჩელსი" „ბარსელონას" ნახევარზე არც გადასულა, თუმცა, როგორც ცნობილია, მწვრთნელი მეორე ტაიმს იგებს...

მეორე ტაიმშიც არ შეცვლილა სურათი: „ბარსელონა" უტევდა და „ჩელსი" თავს იცავდა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ბრიტანელთა მეკარის, პიტერ ჩეხის უბადლო, თითქმის უშეცდომო თამაში. „ბარსელონას" შეტევებმა მასობრივი ხასიათი განსაკუთრებით, ბოლო წუთებში მიიღო, მაგრამ ემოციებს აყოლილი ფეხბურთელები ბურთს ვეღარ აკონტროლებდნენ, რაც მოედანზე გამოსულმა ფერნანდო ტორესმა შესანიშნავად გამოიყენა კიდეც: მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა შანსი ხელიდან არ გაუშვა და „ბარსელონას" ოცნებას ფინალზე, როგორც იტყვიან, ბოლო მიწის ბელტი მიაყარა...

შეხვედრის დასრულების შემდეგ კი „ბარსელონას" გულშემატკივრები ფეხზე მდგარნი ამხნევებდნენ აცრემლებულ მესის და ბიჭებს, თავადაც ცრემლმორეულნი მღეროდნენ და ტაშით აცილებდნენ „ჩელსის" ფეხბურთელებს, რომლებმაც, რიცხობრივი სიმცირის მიუხედავად, ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს და ფინალში გასვლაც ნამდვილად დაიმსახურეს...

სპორტი

ყურადღება!

იწყება განცხადებების მიღება საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს თასზე.

მინიფეხბურთში

პირველ ეტაპზე გუნდმა განაცხადი უნდა წარადგინოს 20 კაცის შემადგენლობით 2012 წლის 1-7 მაისს დედოფლისწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრში.

შეჯიბრება გაიმართება 8-31 მაისს.

მონაწილეობის უფლება აქვს 18 წელზე უფროსი ასაკის ყველა ფეხბურთელს.

საკონტაქტო ტელეფონი: 593 33 68 22.

თავისუფალი ჭიდაობა

ქალაქ საგარეჯოში ჩატარდა გიგლა ბუზარიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში 1997-99 წლებში დაბადებულთა შორის.

ჩემპიონები გახდნენ: 39კგ. წონით კატეგორიაში გიორგი ნატროშვილი, 46კგ. წონით კატეგორიაში კი, გელა ქოქიაშვილი.

მეორე ადგილი 39კგ. წონით კატეგორიაში დაიკავა გიორგი კარატიელმა.

მესამე ადგილზე გავიდნენ: 63კგ. წონით კატეგორიაში მამუკა არაბული და ირაკლი მენთეშაშვილი.

გუნდის მწვრთნელი გახლავთ დამსახურებული მწვრთნელი დავით გონაშვილი

გვარდიოლა "ბარსელონას" სეზონის ბოლოს დატოვებს

"ბარსელონას" მთავარი მწვრთნელი ხოსეპ გვარდიოლა გუნდს სეზონის დასრულების შემდეგ დატოვებს - ამის შესახებ ოფიციალური განცხადება კლუბის პრეზიდენტმა სანდრო როსელმა 27 აპრილს გააკეთა.

41 წლის სპეციალისტის კონტრაქტი, რომელიც "ბარსას" სათავეში 2007 წელს ჩაუდგა, 2012 წლის ივნისში იწურება და გვარდიოლამ მიიღო გადაწყვეტილება, არ გააფორმოს ახალი ხელშეკრულება.

"მადლობა პეპ! იმ სიხარულისათვის, რომელიც თქვენ ჩვენ და "ბარსელონას" ყველა გულშემატკივარს მოგვანიჭეთ. მადლობა იდეალური ფეხბურთისათვის, ეს აღარასოდეს გამეორდება" - თქვა როსელმა სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე.

ამინდი

დედოფლისწყარო

	პარასკევი 27.04	შაბათი 28.04	კვირა 29.04	ორშაბათი 30.04	სამშაბათი 01.05	ოთხშაბათი 02.05	ხუთშაბათი 03.05
დღე	18°	17°	16°	14°	18°	13°	13°
ღამე	10°	10°	11°	13°	14°	12°	12°

გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი ნინარა გორაშვილი-პოპიაშვილი

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (კორესპონდენტები); მიხეილ მლეზრიშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე.
დაიბეჭდა შ.პ.ს „საარის" სტამბაში

რედაქციის მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 8 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
599 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K